საკვანძო სიტყვები: ვალაუფალობა, რეაბილიტაცია, ვალაუფალი მოვალე, ბიზნეს-სამართლებრივი პოლიტიკა.

შესავალი

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007 წლის კანონმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც საკანონმდებლო და პრაქტიკული განვითარების კუთხით, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით. ცოდნის გაღრმავებამ, ახალი საკანონმდებლო საჭიროებების წინაშე დაგვადგინა, რასაც შედეგად მოჰყვა იუსტიციის მიერ კანონპროექტის შემუშავება და შემდგომ მისი პარლამენტის მიერ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის სახით მიღება. გარდა აღ-

ნიშნული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელოვანი სიახლეებისა, რამაც განაპირობა კანონმდებლობის ცვლილება და არსებული მიმართულებით განვითარება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 26 ივნისს რატიფიცირებულია „ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქართული სამართლის დაახლოებას გულისხმობს, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.¹ ვალაუფალობის ახალი

1 ასოცირების შესახებ შეთანხმება. მ.1.2 გ. [ბოლო

კანონის მიღების ვალდებულება ასოცირების შეთანხმებიდან უშუალოდ არ გამომდინარეობდა, მაგრამ დირექტივებთან წინააღმდეგობასაც არ იწვევდა. ეს შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის თავისუფალი ნების გამოვლინებად განვითარებისა და წარმატების სასიკეთოდ, რასაც ყოველწლიური დადებითი ასახვა აქვს ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ბოლო წლების მსოფლიო ბანკის „Doing Business“-ის რეიტინგები, სადაც ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო მე-6 ან მე-7 პოზიციებს იკავებს. მაგალითად, 2019 წლის მდგომარეობით საქართველო მე-6 ადგილზეა,² რითაც უკან იტოვებს მსოფლიოს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: ნორვეგია, აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვა, ხოლო, 2020 წლის მონაცემებით, საქართველომ მე-7 ადგილზე³ გადაინაცვლა, აშშ-ის დაწინაურების შედეგად. მოცემული კვლევის ერთ-ერთი კომპონენტი ვალაუვალობას ეხება, რაშიც 64-ე ადგილს ვიკავებთ, წინა წელს კი მე-60 ადგილზე ვიყავით.⁴ ბიზნესის წამოწყებისას არსებული წარმატება უნდა იქცეს ბიზნესის შენარჩუნების წინაპირობად (რეაბილიტაციის საშუალებით), რაშიც, როგორც ვხედავთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვალაუვალობის დარგის განვითარებას. ეკონომიკურ მეცნიერებაში მიჩნევა, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები, რომელშიც, პოლიტიკური სტაბილიზაციის, კონკურენტული და ხელსაყრელი სოციალური გარემოს შექმნის გარდა, აუცილებელია ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა,⁵ რაც საინვესტიციო კლიმატის შექმნის ერთ-ერთი ნაწილია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის მიმზიდველობას უცხოური ინვესტიციებისათვის,⁶ ხოლო სამართლის მეცნიერებაში, ვალაუვალობის დარგის მეცნიერი – როინ მიგრიაული, ჯერ კიდევ 2017 წელს, თავის ნაშრომში მიუთითებდა სახელმწიფოს მხრიდან კანონით დაინტერესებაზე რეაბილიტაციის რეჟიმის სასარგებ-

ლოდ, გაკოტრების წარმოების თავიდან ასაცილებლად.⁷ სწორედ, ამის შემდეგ იწყება საქართველოს მხრიდან მსოფლიო რეიტინგებში ვალაუვალობის დარგზე ყურადღების გამახვილება, რამაც ხელი შეუწყო კანონმდებლობის ცვლილებასა და მასში რეაბილიტაციის რეჟიმისათვის უპირატესობის მინიჭებას.

სტატია საინტერესოა, რადგანაც მასში განხილულია ხელისუფლების განმახორციელებელი სამივე შტოს მოქმედება – მოქმედი ვალაუვალობის კანონის შექმნის, მიღებისა და პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვის მხრივ.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულ იქნა კვლევის ისეთი სახეები, როგორიცაა: აღწერილობითი, ინდუქციური, თვისებრივი, შედარებითი, მონაცემთა ანალიზი და სხვა.

საკვლევი თემის მიზანს წარმოადგენს: ვალაუვალობის დარგში, სახელმწიფოს ბიზნეს-სამართლებრივი პოლიტიკის შესწავლა.

საკვლევი თემის საგანია: ვალაუვალობის ქართული კანონმდებლობის შესწავლა, კერძოდ, რეაბილიტაციის რეჟიმის მიზნისა და მნიშვნელობის ფარგლებში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს: სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი შტოების ჩართულობა და მათი როლი რეაბილიტაციის რეჟიმის განხორციელებაში.

სახელმწიფო და კანონი

სახელმწიფო, შესავალში აღნიშნული პასუხისმგებლობის ფარგლებში, საერთაშორისო ასპარეზის პარალელურად, ცდილობდა მსოფლიო ეკონომიკურ პულსს არ ჩამორჩენოდა და შეიმუშავა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი, სადაც მკაფიოდ იყო აღწერილი სახელმწიფოს განვითარებისათვის პრიორიტეტული პროგრამები. პრიორიტეტულ რიგებში ვალაუვალობასთან დაკავშირებული საკითხები შედიოდა. რომლებიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „გადახდისუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურების დასახვეწად განხორციელება გადახდისუნარობის სისტემის რეფორმა. გაჩნდება მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისათვის, მეტი გარანტია კრედი-

ნახვის თარიღი: 07.04.2023].

2 A World Bank Group Flashing Report, Doing Business (2019). 16TH EDITION. P.5.

3 Comparing Business Regulation in 190 Economies, Doing Business.2020. P.4.

4 ბიზნესის კეთება (2020), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2020.

5 შუბლაძე, გ., ნანიაშვილი მ. (2011) ბიზნესის საფუძვლები. გამომცემლობა: უნივერსალი, თბილისი.

6 Qoqiauri, L. (2017). Foreign Investment. Tbilisi. P. 71. <http://91.208.144.135/~grunistory/download.php?token=a0283cf715200960c1c4c3e3f83c41d3> [ბოლო ნახვის თარიღი: 7.04.2023].

7 მიგრიაული, რ. (2017). შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში. მე-3 გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა: იურისტების საზოგადოება, თბილისი. გვ.233.

ტორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად“.⁸ ფაქტობრივად, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტის შექმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეფორმის განხორციელებისათვის უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. გარდა ბიუჯეტის შესახებ კანონისა, ვალაუვალობის დარგის რეფორმებზე ყურადღება მახვილდებოდა 2019-2020 წლის სამთავრობო პროგრამაში, სადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკონომიკის განვითარებას, რომლის უზრუნველსაყოფად მიჩნეული იყო გადახდისუნარობის სისტემის რეფორმა. მის მიზანს წარმოადგენდა მოვალის რეაბილიტაცია და კრედიტორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა მეტი გარანტიით.⁹ აღნიშნული პროგრამის შესახებ მოხსენებაში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ დასახული მიზანი განხორციელდა, რის საფუძველზეც შეიქმნა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების“ შესახებ კანონი.¹⁰

სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელმა თითოეულმა შტომ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოს კანონშემოქმედების ინიცირებასა და დადგენას. შემდეგ, მის განვითარებასა და პრაქტიკაში სწორად ინტერპრეტირებას, ბიზნესის კეთილდღეობისათვის ყველა სახის რესურსის მაქსიმალურ გამოყენებას და სხვ. ვფიქრობ, ბიზნესის წარმატება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის წარმატებასთან. მისი წინაპირობა კი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებაა. სამართლის ფილოსოფიაშიც კი მიჩნეულია რომ – „ის, რაც სამართლებრივია – სასარგებლოა ხალხისთვის“.¹¹ ამის უზრუნველსაყოფად, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებებმა ყველაფერი გააკეთეს და ამჟამად გვაქვს მოქმედი „რეაბილიტაციისა და რედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი. ყოველივეს

განხორციელების შემდეგ, უდიდესი მნიშვნელობა სასამართლო ხელისუფლებას აქვს. კერძოდ, განცხადების წარმოებაში მიღებაზე, რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნაზე და სხვ.

რეაბილიტაციის რეჟიმის მნიშვნელობა

რეაბილიტაციის რეჟიმის მნიშვნელობა სხვადასხვა დარგსა და ინტერესებზე გადის. რეაბილიტაციას სამართლებრივი მნიშვნელობის, როგორც მეწარმე სუბიექტის არსებობის შენარჩუნების, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არსებობის გაგრძელების გარდა, უდიდესი მატერიალური მნიშვნელობა აქვს – მისი საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის გაგრძელების მხრივ.

ყველას და ყველაფრის უფლების დაცვის გარანტიად გვევლინება კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს მეწარმეობის თავისუფლებას, კრძალავს მონოპოლიურ საქმიანობას, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა და სხვ.¹² თუმცა, მიიჩნევა, რომ სახელმწიფო, გარკვეულ შემთხვევებში, თავად ქმნის მონოპოლიას სამართლის დარგისა და საქმიანობის ინდივიდუალური მახასიათებლების გამო.¹³ მაგალითად, ლიცენზიების გაცემისას და ინტელექტუალური სამართლის ფარგლებში რეგულირებული საკითხების დროს. თემის სპეციფიკის მიუხედავად, უნდა გვახსოვდეს, რომ „თავისუფალი კონკურენცია ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საუკეთესო საშუალებად არის მიჩნეული და კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის მთავარი მიზანია საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა“¹⁴ და მიიჩნევა, რომ მას პირველადი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში.¹⁵

რაც შეეხება საერთაშორისო ინვესტიციებს – ეს იქნება ბიზნესის ადგილობრივ ბაზარზე დაწყება, ფილიალის შექმნა, საწარმოს რედომიცილება თუ სხვა, გადაწყვეტილების მიღებამდე ინვესტორის/ბიზნესმენისათვის მნიშვნელოვანია შიდა კანონ-

8 სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს 2020 წლის კანონი. [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04.2023].

9 სამთავრობო პროგრამა 2019 – 2020. სექტემბერი, 2019. [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04.2023].

10 2019 – 2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება. სექტემბერი, 2019 – მაისი, 2020. გვ.57. [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04.2023].

11 რადბრუხი, გ. (2012). სამართლის ფილოსოფიის 5 წუთი, სამართლის ჟურნალი: სარჩევი, N1–2(3–4), თბილისი, თარგმანი: დიმიტრი გეგენავა.

12 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი, 26. [ბოლო ნახვის თარიღი: 07 აპრილი, 2023].

13 Mankiw, N. G. (2009). Principles of Microeconomics, fifth edition, Harvard university. გვ. 318.

14 „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო (2016). თბილისი. გვ.6.

15 ფეტელავა, ს. (2007). კონკურენციის თეორია და ანტიმოლოგიური რეგულირება საქართველოში, გამომცემლობა: ლოი, თბილისი. გვ.13.

მდებლობის სტაბილურობა, ხელსაყრელობა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, რადგანაც ისინი ხელშეკრულებით თავიდანვე განსაზღვრავენ – დავის არსებობისას რომელი ქვეყნის ტრიბუნალმა განიხილოს საქმე, ჩვეულებრივ, საქმიანობის პროცესში კი, ხელმძღვანელობენ შიდასამართლის ნორმებით.¹⁶

საბოლოოდ, ვალაუფალობის დარგის, კერძოდ კი, რეაბილიტაციის რეჟიმის სახით არსებული სიკეთე არ უნდა დავივიწყოთ და – „ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ“.¹⁷ რეაბილიტაციის საშუალებით, მოვალის შენარჩუნებაში უნდა დავინახოთ მისი არსებობის გაგრძელების საყოველთაო მნიშვნელობა ზემოთ აღნიშნული თუ სხვა მიზეზების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ მოვალის რეაბილიტაცია არ განხორციელდება, გაკოტრების რეჟიმის აუცილებლობა დადგება, რასაც რეაბილიტაციის საპირისპირო ქმედებები მოყვება. კერძოდ, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამოშლა, მანამდე კი კრედიტორთა დაკმაყოფილებისათვის საგაკოტრებო მასის რეალიზაცია და სხვა. სწორედ, ამ ყოველივეს თავიდან არიდებას ემსახურება რეაბილიტაციის რეჟიმი, რომელიც, როგორც მოვალისათვის, ასევე, კრედიტორისთვის კრიზისის დაძლევისა და ინტერესთა დაცვის საუკეთესო საშუალებაა, რომელიც გაკოტრების – მოვალის სამოქალაქო ბრუნვიდან გაქრობის პრევენციის საშუალებაა, რომელსაც „მეორე შანსი“ ეწოდება. მიიჩნევა, რომ თუ იარსებებს „მეორე შანსი“ და რეაბილიტაციის პროცესი წარმატებით განხორციელდება ის ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას.¹⁸

როგორც ვხედავთ, რეაბილიტაციის რეჟიმის მნიშვნელობა ვალაუფალობის დარგის ფარგლებს ფართოდ სცდება. ხოლო, მისი გამოყენება და განხორციელება, მოვალის ინტერესების გარდა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.¹⁹

რეაბილიტაციის რეჟიმის მიზანი

ნებისმიერ საკითხში მიზანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გამონაკლისს რეაბილიტაციის რეჟიმშიც არ წარმოადგენს. რეაბილიტაციის რეჟიმის მიზნის განხორციელება რამდენიმე აქტორის სასარგებლოდ ხდება. მაგ: სახელმწიფო, კრედიტორი, თავად მოვალე და ა.შ. სწორედ, მიზანი განსაზღვრავს რეჟიმის მიმართულებასა და მხარეთა ინტერესებს. „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონით რეაბილიტაციის მიზანში ერთიანდებოდა კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება – მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით, მართვის სისტემის სრულყოფა, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდა, აგრეთვე, სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაცია.²⁰ როგორც ვხედავთ, კანონით მიზანი მიმართული იყო არა მხოლოდ მოვალის, არამედ, კრედიტორის ინტერესებისკენაც. თუკი, მოვალისათვის მიზნად განისაზღვრებოდა საწარმოს გადარჩენა, მდგომარეობის გაუმჯობესების, მოგების გაზრდისა და სხვა საშუალებებით, კრედიტორის მიზანი მისი ინტერესების დაკმაყოფილებაში გამოიხატებოდა. როგორც ვხედავთ, კრედიტორის მიზნის განხორციელება მოვალის მიზნის განხორციელებაზე გადაიდა. შესაბამისად, არანაკლები ინტერესი გააჩნდა კრედიტორს მოვალის წარმატებული რეაბილიტაციის რეჟიმის მიმართ, რადგანაც იგი მხოლოდ მოვალის რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის შემთხვევაში შეძლებდა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.²¹

მოქმედი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით რეაბილიტაციის რეჟიმის მიზანი რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებაა,²² რომლის ძალაში შესვლისთანავე სრულდება რეაბილიტაციის რეჟიმი,²³ მაგრამ გაგრძელებას პოვებს

16 Dolzer, R., Dchreuer, Ch. (2008). Principles of international investment law. Oxford University Press. გვ. 265 და მომდ.
 17 ერქომაიშვილი, გ., გიგაური, ლ., ტალახაძე, ნ. მეწარმეობის საფუძვლები. გვ.16. <http://www.bpa.ge/book/book01.pdf> [ბოლო ნახვის თარიღი 7.04.2023]
 18 International Monetary Fund: Orderly & Effective Insolvency Procedures.
 19 კეთილაძე, მ. (2023). „მდგრადი განვითარების მიზნები და რეაბილიტაციის რეჟიმი“.

20 გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი, მუხლი, 3.ს. [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04. 2023]
 21 კეთილაძე, მ., მიგრიაული, რ. (2022). „ვალაუფალი მოვალის აქტიური როლი რეაბილიტაციის რეჟიმში“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თანამედროვე სამართლის გამოწვევები, თბილისი.
 22 რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი. მუხლი. 69.1. [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04. 2023].
 23 რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური

მისი დამტკიცების შედეგში, კერძოდ, მისი შესრულება გეგმით გათვალისწინებული ყველა მხარისთვის შესასრულებლად სავალდებულო ხდება, მათ შორის, იმ კრედიტორებისთვისაც, რომელთა მოთხოვნებიც არ იქნა აღიარებული და იმ კრედიტორებისთვისაც, რომლებმაც რეაბილიტაციის გეგმის წინააღმდეგ მისცეს ხმა.²⁴ ამით ნორმა ხაზს უსვამს კანონის სათაურში და მიზანში ნათქვამს – რომ ყველა კრედიტორის დაკმაყოფილება არის მისთვის მნიშვნელოვანი რეაბილიტაციის საშუალებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რეაბილიტაციის მიზანი რეჟიმის ერთ მხარეზე ორიენტირებული არაა, რითაც იგი ამყარებს მოსაზრებას, რომ რეაბილიტაციის რეჟიმი ვალაუვალობის წარმოების მონაწილეთა ინტერესების განხორციელების ეფექტური საშუალებაა.

THE HERITAGE FOUNDATION-ის ინდექსი და საქართველო

ერთია ქვეყანაში შიდასაკანონმდებლო ჩარჩოს სათანადოდ არსებობა, კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე და მეორე პრაქტიკაში მისი იმპლემენტირება.

The Heritage Foundation-ი ავტორიტეტული კვლევითი ინსტიტუტია. რომელიც ყოველწლიურად 180-ზე მეტი ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს ზომავს, რომელიც 12 კომპონენტის შეფასებით ღგინდება. აღნიშნული კომპონენტები 4 ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული:

1. კანონის უზენაესობა (საკუთრების უფლება, სასამართლოს ეფექტიანობა, მთავრობის კეთილსინდისიერება);
2. მთავრობის ზომა (ფისკალური სიჯანსაღე, საბიუჯეტო დანახარჯები, საგადასახადო ტვირთი);
3. რეგულირების ეფექტიანობა (ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება);
4. ბაზრის ღიაობა (ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტირების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება).

დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი. [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04. 2023].

24 რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი. მუხლი 85.2. [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04. 2023].

თითოეული პარამეტრი 100-ქულიანი სკალით ფასდება (0 – ეკონომიკური თავისუფლების ყველაზე დაბალი დონე, 100 – ეკონომიკური თავისუფლების ყველაზე მაღალი დონე).²⁵


The Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ 2023 წელს საქართველოს ეკონომიკური თავისუფლება 68.7 ქულით შეფასდა. ამ მაჩვენებლით საქართველო ზომიერად თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებშია და მსოფლიოში 35-ე ადგილს იკავებს. „ეკონომიკურ თავისუფლების ინდექსში“ წინა წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია 9 ადგილით, ხოლო შეფასება 3.1 ქულით გაუარესდა. ამასთან, 2012-2023 წლებში ყველაზე დაბალი შეფასება საქართველომ სწორედ 2023 წელს მიიღო. „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასება 2021 წელს (77.2 ქულა) ჰქონდა. The Heritage Foundation-ის 2023 წლის მონაცემებით, საქართველოს შეფასების ქულა 12 კომპონენტიდან 8-ში გაუარესდა. ესენია: საკუთრების უფლება, სასამართლოს ეფექტიანობა, მთავრობის კეთილსინდისიერება, ფისკალური სიჯანსაღე, საბიუჯეტო დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება. შეფასების ქულა იგივე დარჩა 2 კომპონენტში: საგადასახადო ტვირთი, ინვესტირების თავისუფლება. შეფასება გაუმჯობესდა მხოლოდ 2 კომპონენტში: შრომის თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება.²⁶

მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ საკითხის მხოლოდ სამართლებრივ დონეზე მოწესრიგება საკმარისი არაა. ამისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. უპირველეს ყოვლისა კი, ბიზნესისათვის მაქსიმალური თავისუფლების მინიჭება. რამაც უნდა უზრუნველყოს არსებული კაპიტალის შენარჩუნება და სამომავლოდ საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა. თითოეული კომპონენტი ინდივიდუალურად უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, რაც ერთიან

25 <https://factcheck.ge/ka/story/41730--მთავრობის-კეთილსინდისიერების-ინდექსით-საქართველომ-10-წლიანი-პროგრესით-მნიშვნელოვანი-წინსვლა-აჩვენა-და-პოზიცია-31-ადგილით-გაიმჯობესა> [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04. 2023].

26 <https://factcheck.ge/ka/story/41730--მთავრობის-კეთილსინდისიერების-ინდექსით-საქართველომ-10-წლიანი-პროგრესით-მნიშვნელოვანი-წინსვლა-აჩვენა-და-პოზიცია-31-ადგილით-გაიმჯობესა> [ბოლო ნახვის თარიღი: 07.04. 2023].

OVERALL SCORE



დიაგრამა №1: საერთო ქულა. წყარო: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი.

ჯაჭვს ქმნის ბიზნესის დაწყებისა და შენარჩუნებისთვის (ის. დიაგრ. 1²⁷).

მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ ბიზნესის გადარჩენასა და გაჯანსაღებაზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლების სათანადო მოქმედებას, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში, განსახილველი საკითხის გათვალისწინებით კი, – ვალაუვალობის სამართლის ჩარჩოში მოქცევით.

The Heritage Foundation-ის კვლევა, რომელიც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა ასახული, ცალსახად ცხადყოფს, რომ სასამართლო ეფექტურობა სტაგნაციას განიცდის. სასამართლო ხელისუფლება, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა და, იმისდა მიუხედავად, რომ თავისი არსით განსხვავდება სხვა ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოთაგან, მათი ტოლფასი პასუხისმგებლობა აკისრია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

შესაბამისად, სასამართლომ ყოველმხრივ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანობის გაზრდა, რაც სამართლის ნორმების სათანადო ცოდნაში, გამოყენებაში, მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და სხვა უფლებების განხორციელების პრაქტიკაში დაწერგვას გულისხმობს. სასამართლო ხელისუფლებამ, როგორც მმართველობის განმახორციელებელ


ლმა ერთ-ერთმა შტომ, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით უნდა გაიზიაროს მისი მნიშვნელობა, დანიშნულება და არსებობის მიზნები. რათა არსებული რეალობა და შეფასებები, რომლებიც კეთდება ადგილობრივ თუ საერთაშორისო კვლევებში, დადებითი მაჩვენებლით შეიცვალოს (ის. დიაგრ. 2²⁸).

სასამართლო პრაქტიკა – სს „ელმავალმშენებლის“ მაგალითზე

2022 წლის 30 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა სს „ელმავალმშენებლის“ წარმომადგენელმა რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის მოთხოვნით. სასამართლო გაეცნო წარდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს, მან მიიჩნია, რომ განცხადება არ აკმაყოფილებდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს, რის გამოც, განმცხადებელს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად. რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ გადახდისუუნარო-

27 <https://indexdotnet.azurewebsites.net/index/visualize?cnts=georgia&type=9&fbclid=iwar3na3pvl7wz-vrcsnd95jakd9dkke16o6jzgvnqaduitwcuuyccxlzaca70>

28 <https://www.heritage.org/index/visualize>



ღიაგრამა №2: სასამართლო ეფექტურობა. წყარო: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი.

ბის შესახებ განცხადება სასამართლოში მოვალეს შეაქვს, მან, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, აგრეთვე, უნდა წარადგინოს თავისი კრედიტორების სრული ჩამონათვალი (მიეთითება სახელები, სახელწოდებები, პირადი ნომრები, საიდენტიფიკაციო მონაცემები) და არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია.

აღნიშული ხარვეზის გამოსასწორებლად, სასამართლომ მოვალეს 5 დღიანი ვადა განუსაზღვრა.²⁹ 2023 წლის 18 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა სს „ელმავალმშენებლის“ წარმომადგენელმა. თუმცა, სასამართლომ უარი განაცხადა რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობაზე.

უარის თქმის საფუძვლად სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა მაღალი ხარისხით ვერ წარმოადგინა რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის გონივრული ალბათობა, კერძოდ ის, რომ რეაბილიტაცია არის მიღწევადი სარწმუნოდ არ არის დადასტურებული. აღნიშულთან დაკავშირებით, მოვალე აღნიშნავდა რომ – „მას აქვს რეალური შესაძლებლობა მიაღწიოს რეაბილიტაციას დაახლოებით 8 წლის განმავლობაში, რითაც სრულად დაკმაყოფილდება ყვე-

ლა კრედიტორი, მათ შორის უზრუნველყოფილი კრედიტორები. აღნიშნული არგუმენტაცია ეფუძნება იმ გარემოებებს, რომ ამიერკავკასიისა და შუა აზიის რეგიონებში არსებობს დიდი მოთხოვნები მოვალის შესაბამის საქონელზე (პროდუქციაზე), კერძოდ, დამკვეთების მოთხოვნაა მაგისტრალური და სამრეწველო სხვადასხვა მოდიფიკაციის ელმავლების აგება, მოდერნიზაცია და კაპიტალური შეკეთება, აგრეთვე მაგისტრალური, სამრეწველო და კარიერული ელმავლების სათადარიგო დეტალების და კვანძების დამზადება, სარკინიგზო ლიანდაგდამგების ტექნიკის სარემონტო კაპიტალური შეკეთება. შესაბამისად, მოვალეს გააჩნია საკმარისად აღჭურვილი საწარმოო ბაზა, რაც უზრუნველყოფს ქვემოთ მითითებული სამუშაოების (მომსახურების) შესრულებას, კერძოდ, მოვალის საწარმოს შეუძლია რეაბილიტაციის ვადის განმავლობაში 1. დაამზადოს ახალი კარიერული წევის 100 ერთეული აგრეგატი, მოცულობით 400 000 000 (ოთხასი მილიონი) აშშ დოლარი; 2. კაპიტალური შეკეთება ჩაუტაროს 70 ერთეულ ელმავალს, მოცულობით 70 000 000 (სამოცდაათი მილიონი) აშშ დოლარი; 3. დაამზადოს ფართო ნომენკლატურის შესაბამისი სათადარიგო ნაწილები, მოცულობით 35 000 000 (ოცდათხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარი; ამდენად, რეაბილიტაციის ვადის (დაახლოებით 8 წელი) განმავლობაში მოვალეს შეუძლია შეასრულოს 505 000 000 აშშ დოლარის სამუშაოები და მომსახურება. აღნიშნული სამუშაო-

29 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 09 იანვრის განჩინება, საქმე No 2/39590-22.

ოების შესრულებიდან მოგების სავარაუდო მარ-
ჟა, ყველაზე პესიმისტური გათვლებით არის 15%,
ანუ დაახლოებით 76 000 000 აშშ დოლარი, რაც
სრულად უზრუნველყოფს ყველა კრედიტორული
მოთხოვნის დაკმაყოფილებას³⁰ 2023 წლის
30 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას კერძო საჩივრით
მიმართა სს „ელმავალმშენებლის“ წარმომადგე-
ნელმა და მოითხოვა 2023 წლის 25 იანვარს მიღე-
ბული განჩინების გაუქმება. თუმცა, სასამართლოს
პოზიცია არ შეუცვლია და იგი ძალაში იქნა დატო-
ვებული.³¹

როგორც აღინიშნა, მოვალეს (მოსალოდნე-
ლი გარემოებების საფუძველზე) გონივრულად
მიაჩნდა 8 წლის განმავლობაში კრედიტორთა
დაკმაყოფილება. რისი გარანტიაც იყო მისი არ-
სებული კაპიტალი და სამომავლო ურთიერთობე-
ბის პერსპექტივა. აღნიშნული საფუძვლების არ-
სებობა და მასზე მითითება სასამართლოსთვის
საკმარისი იყო, როდესაც რეაბილიტაციის რეჟიმი
გაიხსნა სს „გურჯაანი 1929“-ზე. სამწუხაროდ, სა-
სამართლო მოცემული ვალაუვალობის საქმეს სა-
თანადოდ არ მიდგომია. ეს კი ნათელი მაგალითი
ხდება იმისა, რომ სასამართლო საქმეთა განხილ-
ვისას არ ხელმძღვანელობს თანასწორობის პრი-
ნციპით და შერჩევითობას აქვს ადგილი. რაც შე-
ეხება სასამართლოს აპელირებას კრედიტორთა
სრულ ჩამონათვალთან და მათ მიმართ არსებულ
ვალდებულებებთან დაკავშირებით, არაგონივრუ-
ლია, რადგანაც, მხოლოდ მოვალეა ის პირი, რო-
მელსაც აქვს სათანადო ცოდნა მის კრედიტორთა
რაოდენობასა და მათთან დაკავშირებულ ინფორ-
მაციაზე. მოცემული საკითხის არგუმენტირება
სასამართლოს მიერ აზრს მოკლებულია, როდესაც
მას რეალურად არ აქვს ამ ყველაფრის ცოდნის შე-
საძლებლობა მოვალის გარეშე. ეს ეჭვს აჩენს, რომ
სასამართლო წინასწარი განწყობით იღებდა გა-
დაწყვეტილებას, როდესაც განჩინებას იღებდა სს
„ელმავალმშენებლის“ რეაბილიტაციის რეჟიმის
გახსნაზე უარის თქმის შესახებ.

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კრედიტორთა
თავდაპირველი სია ყოველთვის განიცდის ფორ-
მირებას, ე.ი სასამართლოს მიერ სათანადო გან-
ჩინების მიღებამდე პირი ვერ იქნება აღიარებული
კრედიტორად. შესაბამისად, თავდაპირველ კრე-

დიტორთა სიაში მყოფი პირი, შესაძლოა არ იქნას
აღიარებული, და პირი, რომელიც განცხადებაში
არ იყოს ნახსენები, ვალაუვალობის კრედიტორად
მოგვევლინოს. ასევე, გასათვალისწინებელია ის
გარემოება, რომ რეჟიმის გახსნის შესახებ განჩი-
ნება ქვეყნდება და ნებისმიერი პირისთვის ხელმი-
საწვდომია. გარდა ამისა, კრედიტორთა რეესტრის
შედგენამდე, კრედიტორთა მოთხოვნებს ამოწმებს
და კრედიტორთა რეესტრს ადგენს მმართველი/
ზედამხედველი გადახდისუნარობის შესახებ გა-
ნცხადების დასაშვებად ცნობიდან 60 დღის ვადა-
ში, კრედიტორებისა და მოვალისგან მიღებული
ინფორმაციის ან/და თავის მიერ მოძიებული ინ-
ფორმაციის საფუძველზე. ყოველივე ნათლად მიუ-
თითებს იმაზე, რომ სასამართლომ სათანადოდ არ
„იბრძოლა“ სს „ელმავალმშენებლის“ რეაბილიტა-
ციის რეჟიმის გახსნისთვის. მან არ/ვერ გამოიყენა
კანონით გათვალისწინებული ის ალტერნატიული
გზები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი
იქნებოდა ვალაუვალობის კრედიტორის ვინაობის
დადგენა. აქვე გონივრული იქნება, ვარაუდი იმისა,
რომ სასამართლოსთვის განცხადების განხილვი-
სათვის კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადა არ
იყო საკმარისი განცხადებაში მოყვანილი ფაქტო-
ბრივი გარემოებების, განსაკუთრებით, განცხადე-
ბაში მოცემული გადახდისუნარობის საფუძვლის
შესწავლისა და სათანადო გადაწყვეტილების
მიღებისათვის. როგორც წინამორბედმა კანონის
პრაქტიკამ აჩვენა, რომ 5 დღე საკმარისი არ იყო.
დასანანია, რომ ახალმა კანონმა არ გაითვალისწი-
ნა ეს პრობლემა და ვერ შეაფასა საფრთხეები, რო-
მელთა გამოწვევაც არაგონივრულ ვადას შეუძლია
და სათანადო ცვლილებაზე უარი განაცხადა.³² პირ-
ველი ინსტანციის მოსამართლეებს, რომლებიც
ვალაუვალობის საქმეებს განიხილავენ, უნდა ჰქო-
ნდეთ იმის „ფუფუნება“, რომ ვალაუვალობის სა-
მართლის საკითხებზე მეტად დაფიქრდნენ, რათა
ვალაუვალობის უფრო ფართო მასშტაბითა და მო-
ცემულობით დანახვა შეძლონ.

დასკვნა

ნაშრომის შეჯამების შედეგად შეიძლება დავას-
კვნათ, რომ ბიზნესის გადარჩენისათვის სათანადო
ინსტიტუტი გაგვაჩნია, თანამედროვე რეაბილიტა-

30 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25
იანვრის განჩინება, საქმე No 2/39590-22.

31 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 15
თებერვლის განჩინება, საქმე No 2/39590-22.

32 კეთილაძე მ., (2023) ვალაუვალობის სასამართლო
რეაბილიტაციის რეჟიმის საქმის წარმოებაში,
ჟურნალი: სამართალი და მსოფლიო. გვ.123.

ციის რეჟიმის სახით. რაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოების დამსახურებაა.

როგორც ნაშრომში აღინიშნა რეაბილიტაციის რეჟიმი მოვალის გადარჩენისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებაა და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მოვალისთვის, ასევე, კრედიტორისა და სახელმწიფოსთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. „Doing Business“-ი და The Heritage

Foundation“-ის რეიტინგების განხილვამ, ცალსახად ცხადყო, რომ საქართველო მნიშვნელოვან უკუსვლას განიცდის სხვადასხვა მიმართულებით, რაც ბიზნესისთვის არახელსაყრელ გარემოს ქმნის.

მოცემული მაგალითის განხილვის საფუძველზე კი, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლო ხელისუფლება ჩვენი ქვეყნისთვის კვლავ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს არსებული პრაქტიკის ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება.
2. ბიზნესის კეთება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020.
3. გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი, 2007.
4. რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი, 2020;
5. რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი.
6. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.
7. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს 2020 წლის კანონი.
8. სამთავრობო პროგრამა 2019-2020. სექტემბერი, 2019;
9. 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება, 2020.

სახელმძღვანელო/სტატია:

1. ერქომაიშვილი, გ., გიგაური, ლ., ტალახაძე, ნ. მეწარმეობის საფუძვლები.
2. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო თბილისი, 2012.
3. კეთილაძე, მ. (2023). „მდგრადი განვითარების მიზნები და რეაბილიტაციის რეჟიმი“.
4. კეთილაძე, მ. (2023). ვალაუვალობის სასამართლო რეაბილიტაციის რეჟიმის საქმის წარმოებაში, ჟურნალი: სამართალი და მსოფლიო.
5. კეთილაძე, მ., მიგრიაული, რ. (2023). ვალაუვალი მოვალის აქტიური როლი რეაბილიტაციის რეჟიმში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თანამედროვე სამართლის გამოწვევები.
6. მიგრიაული, რ. შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში. მე-3 გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა: იურისტების სამყარო, თბილისი, 2017.
7. რაღბრუნი, გ. სამართლის ფილოსოფიის 5 წუთი, სამართლის ჟურნალი: სარჩევი, N1-2(3-4), თბილისი, 2012, თარგმანი: დიმიტრი გეგენავა.
8. ფეტელავა, ს. კონკურენციის თეორია და ანტიმოლოგიური რეგულირება საქართველოში, გამომცემლობა: ლოი, თბილისი, 2007 წ.
9. შუბლაძე, გ., ნანიტაშვილი, მ. ბიზნესის საფუძვლები. გამომცემლობა: უნივერსალი, თბილისი, 2011 წ.
10. A World Bank Group Flashing Report, Doing Business 2019, 16TH EDITION.

11. Comparing Business Regulation in 190 Economies, Doing Business, 2020.
12. Dolzer, R., Schreuer, Ch. Principles of international investment law. Oxford University Press, 2008.
13. International Monetary Fund: Orderly & Effective Insolvency Procedures.
14. Mankiw, N.G. Principles of Microeconomics, fifth edition, Harvard university, 2009.
15. Qoqiauri, L. Foreign Investment, Tbilisi, 2017.

სასამართლო განჩინება:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 09 იანვრის განჩინება, საქმე No 2/39590-22.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 იანვრის განჩინება, საქმე No 2/39590-22;
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 15 თებერვლის განჩინება, საქმე No 2/39590-22.

ინტერნეტ წყაროები:

1. <https://factcheck.ge/ka/story/41730--მთავრობის-კეთილსინდისიერების-ინდექსით-საქართველომ-10-წლიანი-პროგრესით-მნიშვნელოვანი-წინსვლა-აჩვენა-და-პოზიცია-31-ადგილით-გაიუმჯობესა> [ბოლო ნახვის თარიღი: 7.04.2023].
2. <https://www.heritage.org/index/visualize>
3. <https://factcheck.ge/ka/story/41757-ეკონომიკური-თავისუფლების-ინდექსში-12-ინდიკატორიდან-8-ში-არის-უკუსვლა>